სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

09/07/2024

MES 1 24 0000836328

სსიპ –საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შე ცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის მე-4 მუხლის და სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივლისის N01-05-04/102 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024 - 2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადებით (დანართი 1) უნდა მიმართონ შესაბამის ფაკულტეტს 2024 წლის 15 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით;
2. განისაზღვროს უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) ფარგლებში ვაკანტური ადგილების რაოდენობა და პირობები ამ ბრძანების დანართი 4-ის შესაბამისად;
3. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს, ზ.ბუაჩიძეს;

4. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს;
5. დაევალოს ფაკულტეტებს 2024 წლის 23 ივლისს უზრუნველყონ შიდა მობილობაზე დარეგისტრირებულ პირთა სიის წარდგენა სასწავლო პროცესების მართვის სამსახური;
6. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მიერ ამ ბრძანების დანართი 4-ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად შიდა მობილობის უფლების მქონე პირთა სია გადაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტებს 2024 წლის 25 ივლისს;
7. დაევალოს ფაკულტეტებს შიდა მობილობაზე დარეგისტრირებულ პირთათვის შედეგების გაცნობა (მობილობის უფლების მოპოვება/შიდა მობილობაზე უარი) 2024 წლის 26 ივლისს;
8. ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 2) და უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 3) სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 31 ივლისისა;
9. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2024 წლის 2 სექტემბრისა;
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს თ.წერეთელს;
11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
13. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ

თ.